

საქართველოს უნივერსიტეტი

*სამართლის სკოლა*

სამართალმცოდნეობის სადოქტორო პროგრამა  
*ხელნაწერის უფლებით*

ნათია სონგულია

გამართლების სუბიექტური მხარის ელემენტები აუცილებელი  
მოგერიების მაგალითზე  
(ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით შედარებით  
სამართლებრივი ანალიზი)

სამართალმცოდნეობის დოქტორის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომის  
სადისერტაციო მაცნე

მისანიჭებელი კვალიფიკაციის კოდი - 06

თბილისი  
2021

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია საქართველოს  
უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი, სამართლის  
დოქტორი გიორგი თუმანიშვილი

მოწვეული ექსპერტები:

1. სამართლის დოქტორი , ალექსანდრე გიორგიძე
2. სამართლის დოქტორი, იოსებ ვარძელაშვილი
3. სამართლის დოქტორი, გიორგი დგებუაძე

დისერტაციის დაცვა შედგება: 2021 წლის თარიღი, 12:00

მისამართი: თბილისი, საქართველოს უნივერსიტეტი , კოსტავას ქუჩა  
N 77ა

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია საქართველოს  
უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში და უნივერსიტეტის ვებ გვერდზე:  
[www.ug.edu.ge](http://www.ug.edu.ge)

სადისერტაციო მაცნე დაიგზავნა 2021 წლის 10 სექტემბერს.

სადისერტაციო საბჭოს მდივანი: ნათია მანჯიკაშვილი

## ნაშრომის ზოგადი დახასიათება თემის აქტუალობა

აუცილებელი მოგერიება სისხლის სამართლის სხვა ინსტიტუტების მსგავსად, წარმოიშვა სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობასთან ერთად და ვითარდებოდა სახელმწიფოებრივი და სოციალური ხასიათის მთელი რიგი პირობების გათვალისწინებით.

აუცილებელი მოგერიება ყველაზე არაორაზროვანი, ყველაზე დამაჯერებელი საფუძველია ადამიანის გამართლებისთვის, რადგან აქ აგრესიული უსამართლობა მართლზომიერ უფლებას უპირისპირდება, სამართალმა არ უნდა დაიხაროს უსამართლობის წინაშე, რადგან აუცილებელი მოგერიების დროს ფაქტობრივად ურთიერთ დაპირისპრებული ინტერესების გათანაბრება ხორციელდება.

ამდენად, კვლევის აქტუალობა გამომდინარეობს მისი მთავარი მიზნიდან - დაცული იქნეს მომგერიებლის უფლებები, სწორად განისაზღვროს გამართლების ძირითადი სტრუქტურა, შემადგენლობა და ქმედებას მიეცეს სწორი კვალიფიკაცია.

### კვლევის ძირითადი მიზნები და ამოცანები

სადისარტაციო კვლევის მიზანია - იურიდიული, ფსიქოლოგიური, ფილოსოფიური და სოციოლოგიური ლიტერატურის შესწავლისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, წარმოდგენილ იქნეს გამართლების სუბიექტური ელემენტების არსი, აუცილებელი მოგერიების მაგალითზე. გაანალიზებულ, ახსნილ და გადაჭრილ იქნეს ამ საკითხთან დაკავშირებით არსებული პრობლემები ქართულ და გერმანულ სისხლის სამართალში არსებული სადაო საკითხების შესწავლის საფუძველზე. ამ მიზნის მისაღწევად, კვლევა წარიმართება რამდენიმე მიმართულებით. უპირველეს ყოვლისა, გამოკვლეული იქნება ჯერ ქართული და შემდგომ გერმანული სისხლის სამართლის მეცნიერებაში არსებული საკითხები.

აღნიშნული ნაშრომის მიზანია წარმოჩენილ იქნეს გერმანულ და ქართულ სისხლის სამართალში აღმოცენებული მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების - აუცილებელი

მოგერიების მსგავსება-განსხვავება ეროვნული სისხლის სამართლის სრულყოფისთვის, გერმანული სისხლის სამართლის სამეცნიერო და პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე, მოხდეს მისაღები და საჭირო ცვლილებების შეტანა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, გამართლების სუბიექტური ელემენტების შედარებით ბუნდოვნად დარეგულირებული საკითხების უფრო ნათლად ჩამოყალიბებაში. გერმანულ სისხლის სამართალში დამკვიდრებული მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების - აუცილებელი მოგერიების მაგალითზე ნოვატორული მოსაზრებების შეთავაზება ქართველი კანონმდებლისათვის. უფრო კონკრეტულად რომ ითქვას, კვლევის მიზანია, გარკვეულ იქნეს გამართლების სტრუქტურა, აუცილებელი მოგერიების შინაარსი, ფუნქცია და ელემენტები.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე და ძირითადი შედეგები

სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს ქართულ და გერმანულ სისხლის სამართალში არსებული პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებების, კერძოდ, აუცილებელი მოგერიების სუბიექტური ელემენტების პრობლემის გამოკვლევის მცდელობას. აღნიშნული ნაშრომი ხელს შეუწყობს ქართულ იურიდიულ მეცნიერებას აუცილებელი მოგერიების სუბიექტური ელემენტების კვლევაში, მეცნიერული წინადადებების შემუშავებაში და სისხლის სამართლის კანონმდებლობის სრულყოფის მიღწევაში.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები

ნაშრომში გამოყენებულია კვლევის დედუქციური მეთოდი, რომელიც სწორი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა, ზოგადი მსჯელობიდან ახალი ცოდნის აღმოჩენის და კონკრეტული დასკვნების გამოტანის გზით. ამასთან, გამოყენებულია აგრეთვე, ინდუქციური მეთოდიც, რომელიც საშუალებას გვაძლევს, კონკრეტული ფაქტებიდან განზოგადებული მსჯელობა ჩამოყალიბდეს. კვლისას, ასევე, გამოყენებულია თვისობრივი და

რაოდენობრივი კვლევის მეთოდები, შედარებით-სამართლებრივი ანალიზი და სასამართლო გადაწყვეტილებათა შესწავლა.

### ნაშრომის თეორიული ღირებულება

ნაშრომი, თავისი აქტუალობითა და სიახლით მრავალფეროვანი, განსხვავებული და საინტერესოა. იგი გამოირჩევა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შექმნილი სხვადასხვა კვლევებისაგან.

### ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა

აუცილებელი მოგერიების ეტაპზე სუბიექტური ელემენტების პრობლემას, როგორც აღმოჩნდა, თეორიულთან ერთად, ასევე, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება.

ქართულ და გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში ჩატარებულმა კვლევამ წარმოაჩინა ის საკვანძო და მნიშვნელოვანი საკითხები, რაც დამახასიათებელია აღნიშნული ინსტიტუტისთვის. სხვადასხვა სირთულეების გათვალისწინებით, რომელიც არსებობს ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, სადისერტაციო ნაშრომი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს აღნიშნული მიმართულებით მდგომარეობის გამოსწორებაში.

### ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა

ნაშრომი შედგება: შესავლის, ექვსი თავის, ორმოცდათერთმეტი ქვეთავისა და დასკვნისაგან.

### ნაშრომის ძირითადი შინაარსი

#### შესავალი

დანაშაულის სამსაფეხურიანი სისტემის მიხედვით, დანაშაულის ნიშნები ქმედების შემადგენლობით, მართლწინააღმდეგობითა და ბრალით განისაზღვრა, სადაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს მართლწინააღმდეგობას და გამართლების სუბიექტური მხარის ელემენტებს, რომელსაც თეორიულთან ერთად, ასევე, დიდი

პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, როგორც სამართალშემოქმედების, ისე სამართალგამოყენების პროცესში. ფსიქოლოგიურ და იურიდიულ ლიტერატურაში ის ერთ-ერთი აქტუალური, თუმცა სათანადოდ დაუმუშავებელი საკითხია. აღნიშნული საკითხი სიღრმისეულად არ გამოკვლეულა, მითუმეტეს, არ მომხდარა ქართულ სისხლის სამართალში დამკვიდრებული გამართლების სუბიექტური ელემენტების არსისა და კონსტრუქციის შედარება გერმანულ სისხლის სამართალში არსებულ ანალოგიურ ნორმასთან. აღნიშნული თემა აქტუალურია იმით, რომ განსახილველ ნაშრომში ფართოდ იქნება გაშუქებული და ურთიერთშეპირისპირებული არამარტო გამამართლებელი გარემოებები, არამედ გაირკვევა მართლწინააღმდეგობისა და საზოგადოებრივი საშიშროების არსი, აუცილებელი მოგერიების ბუნება, არსი, მიზანი, მნიშვნელობა, სტრუქტურა და მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამართლებისათვის აუცილებელი კომპონენტების ჩამონათვალი. მიუხედავად ცალკეული საკითხების შესახებ ნაშრომების სიმწირისა, შეძლებისდაგვარად კოპლექსურად იქნება გადმოცემული კონკრეტული დებულებები. შედარებით-სამართლებრივი კვლევის მეთოდი იძლევა იმის საშუალებას, რომ გამოვლინდეს ის, თუ როგორ არის გადაწყვეტილი გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკასა და პრაქტიკაში გამართლების სუბიექტური ელემენტების საკითხი. თემის ცალკეული პრობლემების განხილვა ერთი დისერტაციის ფარგლებში შეუძლებელია. თუმცა, წარმოდგენილი პრობლემების თავმოყრილი ანალიზი გარკვეულწილად გაუადვილებს ამ საკითხით დაინტერესებულ პირებს უფრო ორიენტირებულად და დეტალურად წარმართონ მეცნიერული საქმიანობა.

## თავების ანოტაციები

ნაშრომის პირველ თავში გადმოცემულია მართლწინააღმდეგობისა და აუცილებელი მოგერიების ცნება, არსი, მისი განვითარების

ხანგრძლივი ისტორია ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით. ნაშრომში დეტალურად არის განხილული პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებებში სუბიექტური ნიშნების არსებობის საკითხები და კონკრეტული მაგალითები სასამართლო პრაქტიკიდან, სადაც გამოკვეთილია საკანონმდებლო და სასამართლო პრაქტიკის ხარვეზები და მიდგომები.

ნაშრომის მეორე თავი ეხება ისეთ მნიშვნელოვან და საკვანძო საკითხებს, როგორცაა გამართლების სუბიექტური ელემენტების საკითხი ქართულ და გერმანულ სისხლის სამართალში და აუცილებელი მოგერიების სუბიექტური ელემენტების სტრუქტურის საკითხი. დეტალურად არის მიმოხილული გამართლების ობიექტური და სუბიექტური თეორიების არსი და მნიშვნელობა. წარმოდგენილია ქართველ და გერმანელ მეცნიერთა შეხედულებები საკვლევ თემასთან დაკავშირებით. განხილულია აუცილებელი მოგერიების ობიექტური მდგომარეობის ცოდნის, ხელყოფისაგან თავდაცვის სურვილისა და მოტივის (მიზანის), როგორც ქმედების შემადგენლობის სუბიექტური მხარის ელემენტების არსებობის აუცილებლობის მნიშვნელოვანი ასპექტები გერმანიის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების მაგალითზე დაყრდნობით.

ნაშრომის მესამე თავში ყურადღება ეთმობა ქმედების კვალიფიკაციის პრობლემებს გამართლების სუბიექტური ელემენტების არარსებობის შემთხვევაში.

ნაშრომის მეოთხე და მეხუთე თავები ეთმობა გაუფრთხილებლობისა და შეცდომის საკითხებს საკვლევ საკითხთან დაკავშირებით.

სადისერტაციო კვლევის დასკვნით ნაწილში შემოთავაზებულია ზოგიერთი მოსაზრება, რაც უკავშირდება გამართლების სუბიექტური ელემენტების განვითარებას ქართულ სისხლის სამართალში.

## დასკვნა

აუცილებელი მოგერიების ეტაპზე სუბიექტური ელემენტების პრობლემას, როგორც აღმოჩნდა, თეორიულთან ერთად, ასევე დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება.

დისერტაციაში წარმოდგენილია ნოვატორული იდეები აუცილებელი მოგერიების ეტაპზე სუბიექტური ელემენტების გამოყენებისას

რამდენიმე მწვავედ დასმულ საკითხთა ახლებურად გადაწყვეტის შესახებ.

შემოთავაზებულია გამართლების სუბიექტური ელემენტების გამოყენებასთან დაკავშირებით საკანონმდებლო სიახლეები.

სადისერტაციო ნაშრომის კვლევისას გამოიკვეთა, რომ ამ ინსტიტუტის განსაკუთრებული ხასიათიდან გამომდინარე, უმთავრესად საჭიროა, შესწავლილ იქნეს პიროვნების ფსიქოლოგიური პორტრეტი, სწორად იქნეს განსაზღვრული დასასმელ კითხვათა ნუსხა და სწორედ წარმართოს საქმის გამოძიება, ყოველივე აღნიშნული გაუადვილებს პრაქტიკოს იურისტებს ამ საკითხის ირგვლივ მუშაობას.

აღნიშნული საკითხის კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ მიზანშეწონილია, საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს მსგავსი ქმედებების გამოძიებას და კვალიფიკაციის საკითხს. მიზანშეწონილი იქნება მოსამართლეს, საჭიროების შემთხვევაში, გარდა საგამონაკლისო უფლებით მინიჭებული შესაძლებლობისა, მიეცეს უფლება დასვას სწორი და აუცილებელი კითხვები განსახილველ საქმესთან დაკავშირებით.

ყველა ზემოთ განხილული საკითხის კვლევის ძირითადი თეზისების შეჯერების საფუძველზე მნიშვნელოვანია, ზედმიწევნით იქნეს გათვალისწინებული და დაცული ის ძირითადი წინაპირობები, რომლებიც აუცილებელია ქმედების გამართლებისათვის. სწორედ პრაქტიკამ უნდა უზრუნველყოს მეცნიერებაში არსებული პრინციპული მოსაზრებების და შეხედულების დაცვა და საქმის განხილვის დროს მათი გამოყენება.

სწორედ სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებსა და სისხლისსამართლებრივი ნორმების სწორად გამოყენებას ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა. ვინაიდან სწორედ დღეს მიღებული გადაწყვეტილება იქნება მომავალში ჩვენი სახელმწიფოს განმსაზღვრელი ერთ-ერთი კრიტერიუმი.



General description of the paper

Relevance of the topic

Like other institutes of criminal law, self-defense originated in parallel with the creation of the state and justice and has developed taking into account a number of conditions of state and social character.

Self-defense is the most unambiguous and convincing basis for human justification, because here an aggressive injustice is opposed to the lawful right, justice should not bend itself before injustice, because, in fact, the equalization of inter-conflicting interests is implemented during self-defense.

Therefore, relevance of the topic derives from its main purpose – to protect the rights of a self defendant, to define correctly the main structure of justification, to qualify the content and action precisely.

Major objectives and tasks of the study

The purpose of the dissertation research is to present the essence of subjective elements of justification on the example of self-defense, on the grounds of study of legal, psychological, philosophical and sociological literature and analysis of judicial practice. Problems connected with this issue shall be analyzed, described and solved on the basis of studying the existing controversial issues in Georgian and German criminal law. For

achieving this purpose, the research shall be conducted in several directions. First of all, primarily the issues existing in Georgian criminal science and then in German criminal science shall be studied.

The aim of the mentioned research is to present circumstances excluding the criminality of an action arisen in German and Georgian criminal law – similarity and difference of self-defense for the perfection of national criminal law, based on German criminal scientific and practical experience, to carry out acceptable and necessary changes in Georgian Criminal Law, to formulate more clearly vaguely regulated issues of subjective elements of justification. Circumstances excluding the criminality of an action established in German criminal Law – offering innovative ideas on the example of self-defense for Georgian lawmakers. To be more precise, the aim of the research is to find justification structure, the content, function and elements of self-defense.

Scientific novelty and main results of the research

The dissertation work presents the effort to study the circumstances excluding the liability in Georgian and German criminal Law – problems of subjective elements of self-defense. The mentioned work shall help Georgian criminal science to study subjective elements of self-defense, to work out scientific proposals and to achieve perfection in criminal law.

Theoretical and methodological grounds of the research

Deductive method of study is used in the work, which allows to make accurate conclusions, by means of discovering new knowledge and making particular conclusions from general discussion. In addition, an inductive method is used as well, which makes it possible to form general discussion from particular facts. During the research, qualitative and quantitative method of study is also used, comparative judicial analysis and study of court decisions.

Theoretical value of the paper

The work is various, different and interesting by its relevance and novelty. It is distinguished from different studies related with mentioned issues.

Practical meaning of the paper

At the stage of self-defense, as it appeared the problem of subjective elements together with theoretical, has a big practical meaning. Conducted research in Georgian and German criminal literature highlighted those key and important issues characterised for the mentioned institute. Considering various difficulties existing in Georgian judicial practice, the dissertation work shall contribute greatly in improving the situation of mentioned direction.

#### Structure and volume of the paper

The paper consists of: introduction, six chapters, fifty-one subchapters and conclusion.

#### General content of the paper

##### Introduction

In accordance with the three-step system of crime, the signs of crime were determined by the composition of the action, the unlawfulness and the guilt, where one of the most important places is occupied by the elements of unlawfulness and the subjective side of justification, which together with theoretical significance has great practical significance as well, in the process

of lawmaking and lawusage similarly. It is one of actual, but not properly worked problem in psychological and legal literature. Presented case has not been studied thoroughly, moreover, the essence and construction of the subjective elements of justification established in Georgian criminal law has not yet been compared with a similar norm in German criminal law.

This topic is relevant in that the paper under consideration will widely cover and contradict not only the justifying circumstances, but also the essence of the opposition and public danger, the nature, essence, purpose, meaning, structure and components of the necessary components to justify the illegal action will be elucidated as well.

Despite the scarcity of papers on certain issues, specific statements will be presented as complexly as possible.

The method of comparative-legal research makes it possible to reveal how the problem of the subjective elements of justification is resolved in German criminal dogma and practice.

It is impossible to discuss certain issues of the topic within the range of one dissertation. However, the aggregated analysis of the presented problems will make it somewhat easier for those interested in this issue to conduct scientific activities in a more focused and detailed way.

Annotations of the chapters

The concept of self-defense and unlawfulness, long-lasting history of its development in accordance with Georgian and German Criminal Law are presented in the first chapter of presented paper. Problems of existence of subjective signs in circumstances excluding the criminality of an action and particular examples from judicial practice are in detailed discussed in presented work, where faults and approaches of judicial and legislative practice are highlighted.

The second chapter of the work refers to such important and crucial issues, as the problem of subjective elements of justification in Georgian and German criminal Law and the problem of structure of subjective elements of self-defense. The concept and importance of Objective and subjective theories of justification is discussed in details. Opinions of Georgian and German scientists related to the topic to be studied are presented as well. The important aspects of the awareness of the objective state of self-defense, the desire to defend against the encroachment and the motive (purpose) as the necessity of the existence of elements of the subjective side of the action composition are discussed on the basis of the example of the decisions made by Supreme Court of Germany.

The third chapter of the paper focuses on the problems of qualification of action in the event of the absence of subjective elements of justification.

The fourth and the fifth chapters of the paper are devoted to the issues of negligence and error in relation to the research question.

The final part of the dissertation research offers some ideas related to the development of subjective elements of justification in Criminal Law of Georgia.

## Conclusion

As indicated, on the stage of self-defense, practical importance is given to the problem of subjective elements together with theoretical one.

Innovative ideas on the stage of self-defense when using subjective elements about solution of some acutely raised issues are presented in the dissertation.

Legislative innovations related to subjective elements of justification are offered.

On the period of the study of presented dissertation, it was revealed, that resulting from special character of the given institute, psychological portrait of the person is principally necessary to be researched, the list of the questions to be asked to be correctly defined and investigation of the case to be rightly directed. All above mentioned facts will assist practicing lawyers in working on the issue presented.

As a result of the study of presented case, it was revealed, that it is advisable, Criminal Legislation of Georgia to pay special attention to investigation of similar acts and to the problem of qualification. If necessary, it would be advisable, if the judge, except exceptionally empowered possibilities, is

entitled to ask precise and necessary questions related to the case to be discussed.

Based on a reconciliation of the main theses of the research on all the issues discussed above, protecting and thorough envisaging of the very main preconditions that are necessary for justification of acts is essential. It is the practice that is to provide protection of principal opinions and views existing in science and their usage in the discussion of the case.

It is the decisions made by the court and the correct application of criminal norms that are of special importance. Since the decision made today will be one of the defining criteria of our state in the future.